საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030415344222820

№ 04-359/ო **23 / ივლისი / 2020 წ.**

„ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობით შესყიდვის შესახებ

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 ნოემბრის N4727 წერილის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტს (ზ. ფიფია):

ა) უზრუნველყოს „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების მიერ გამოთავისუფლებული საწოლადგილების გამარტივებული შესყიდვის *(ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება)* საკითხის შეთანხმება სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის მიღების შემდგომ, დაიწყოს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, კანონმდებლობით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების შესრულებისთვის აუცილებელი, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში ასატვირთი კითხვარი - წინამდებარე ბრძანების დანართი #1.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144) ან სასარჩელო განცხადებით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
ელექტრონულად